ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 211

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 მაისის №25.771.863 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, ზუაჩიძის ქუჩა N8 (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ზურაბ ჭკუასელი გიორგი გომარელი	01023009195 01519092108	სართული 1	151.89	01.12.07.003.029.01.508
2			სართული 1, შენობა N2	8.59	01.12.07.003.029.02.500
3	თამარი გომარელი	01919092107	სართული 2	157.48	01.12.07.003.029.01.504
4	ნათია ჭკუასელი	01019048280			
5	იამზე სამხარაძე	01023004654	სართული 1	72.33	01.12.07.003.029.01.503